

## საქართველოს უნივერსიტეტის მისია

ჩვენი საქმიანობაა ცოდნის წარმოება და პიროვნების განათლება, რაშიც ვგულისხმობთ ადამიანში ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების გაღვივებას, და მის აღჭურვას კეთილსინდისიერი შრომით წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნითა და უნარებით.

ყოველივე ამას ვანხორციელებთ კომპეტენციის ცენტრების და იმგვარი პლათფორმის შექმნით, სადაც უზრუნველყოფილია ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განხორციელება; ისეთი გარემოს შექმნით, სადაც პიროვნებას შემოქმედებითი, ინოვაციური და სამეწარმეო შესაძლებლობების გამოვლენისა და რეალიზების მაქსიმალური ასპარეზი ეძლევა.

ჩვენი საქმიანობით, რასაც მუდმივად ინოვაციური მიდგომით ვანხორციელებთ, ისევე, როგორც ინსტიტუციური სრულყოფილებისკენ სწრაფვის საკუთარი მაგალითით წვლილი შეგვაქვს საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებაში, ქართველი ერისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ.